საქართველო – ევროკავშირი ასოცირების შესახებ შეთანხმების პოლიტიკური ნაწილი და ახალი ეტაპი ორმხრივ ურთიერთობებში

მიხეილ მირზაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

პოლიტიკურ მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ საქართველოსთან სავარაუდო რატიფიცირება ასოცირების შეთანხმებისა, ნაშრომში მთავარი აქცენტი გაკეთდება საქართველოზე და მის პოლიტიკურ ასოცირებაზე ევროკავშირთან, თუმცა ასევე განხილული იქნება მოლდოვის და ეგვიპტის მაგალითები, რაც დაგვანახებს იმ განსხვავებს, რომლებიც შეიძლება იყოს ამ სამი ქვეყნის შეთანხმებებს შორის, ეს ყოველივე კი მნიშვნელოვან დასკვნებს გაგვაკეთებინებს. დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ–ერთი მთავარი გამოწვევა ევროკავშირთან დაახლოების პროცესია, ასოცირების შესახებ შეთანხმების სამომავლო რატიფიცირება კი, შეიძლება მივიჩნიოთ ორმხრივ ურთიერთობებში ახალი ეტაპის დასაწყისად, რომელიც ამ კავშირებს უფრო მაღალ დონეზე აიყვანს, ამიტომ ჩემი აზრით მნიშვნელოვანია საკითხს კვლევა, რათა დავინახოთ ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რამაც შეიძლება საქართველოს კეთილდღეობა მოუტანოს.